

შპს “კოლიერს ინტერნეიშენალ ჯორჯიას”  
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება  
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული  
საანგარიშგებო წლისთვის

## სარჩევი

|                                                                            |    |
|----------------------------------------------------------------------------|----|
| ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება .....                   | 3  |
| სრულიშემოსავლისდაგაუნაწილებელიმოგებისანგარიშგება .....                     | 4  |
| კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები             |    |
| 1. ზოგადი ინფორმაცია .....                                                 | 5  |
| 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა..... | 5  |
| 3 საქმიანობის უწყვეტობა.....                                               | 5  |
| 4.ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში .....                                   | 5  |
| 5. ამონაგების აღიარება .....                                               | 5  |
| 6. ხარჯების აღიარება .....                                                 | 5  |
| 7. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები.....                    | 5  |
| 8. მოგების გადასახადი.....                                                 | 6  |
| 9. ძირითადი საშუალებები .....                                              | 6  |
| 10. არამატერი ალურიექტივები.....                                           | 6  |
| 11. აქტივების გაუფასურება.....                                             | 6  |
| 12. იჯარა .....                                                            | 7  |
| 13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....                                        | 7  |
| 14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....                                     | 7  |
| 15. ბანკის სესხები და ოვერდრაფტები.....                                    | 7  |
| 16. შენიშვნები .....                                                       | 8  |
| დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები -----                   | 12 |
| ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება -----                                    | 12 |

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 31.12.2020 წ. დასრულებული პერიოდისთვის

|                                       | შენიშვნა | 12/31/2020 | 12/31/2019 |
|---------------------------------------|----------|------------|------------|
| <b>აქტივები</b>                       |          |            |            |
| ძირითადი საშუალებები                  | 6        | 391,514    | 244,469    |
| არამატერიალურ იაქტივები               | 5        | 68,156     | 142,933    |
| <b>ჯამურად გრძელვადიანი აქტივები</b>  |          | 459,670    | 387,402    |
| <b>მარაგები</b>                       |          |            |            |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები            | 4        | 398,160    | 332,580    |
| გადახდილი ავანსები                    |          | 10,185     | 102,818    |
| გაცემული სესხები                      |          | 196,995    |            |
| ფული და ფულადი ექვივალენტები          | 3        | 52,118     | 263,459    |
| <b>ჯამურად მოკლევადიანი აქტივები</b>  |          | 657,459    | 698,857    |
| <b>სულ აქტივები</b>                   |          | 1,117,128  | 1,086,259  |
| <b>ვალდებულებები და კაპიტალი</b>      |          |            |            |
| <b>კაპიტალი</b>                       |          |            |            |
| კაპიტალი                              |          | 600        | 600        |
| გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი |          | 724,871    | 21,570     |
| <b>სულ კაპიტალი</b>                   |          | 725,471    | 22,170     |
| <b>ვალდებულებები</b>                  |          |            |            |
| გრძელვადიანი ვალდებულებები            |          |            |            |
| გრძელვადიანი ვალდებულებები            | 8        | 37,052     |            |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b> |          | 37,052     | -          |
| მოკლევადიანი ვალდებულებები            |          |            |            |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები         | 7        | 101,176    | 387,338    |
| მიღებული ავანსები                     |          | 298,415    | 681,489    |
| საგადასახადო ვალდებულებები            | 9        | (44,985)   | (4,738)    |
| <b>მოკლევადიანი სესხები</b>           |          |            |            |
| <b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b> |          | 354,606    | 1,064,089  |
| <b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>  |          | 1,117,128  | 1,086,259  |

დირექტორი

ირაკლი კილაურიძე



2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლისა და  
გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

|                                       | შენიშვნა | 12/31/2020  | 12/31/2019  |
|---------------------------------------|----------|-------------|-------------|
| ამონაგები                             | 10       | 4,426,840   | 6,467,284   |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება | 11       | (1,058,012) | (3,517,020) |
| საერთო მოგება                         |          | 3,368,828   | 2,950,264   |
| საოპერაციო ხარჯები                    | 12       | (3,417,150) | (3,555,913) |
| სხვა ხარჯი                            |          |             | 0           |
| საოპერაციო მოგება                     |          | (48,322)    | (605,649)   |
| არა საოპერაციო შემოსავალი             | 13       | 812,237     | 13,818      |
| არა საოპერაციო ხარჯები                | 14       | (60,614)    | (25,290)    |
| ფინანსური ხარჯი                       |          |             |             |
| მოგება დაბეგვრამდე                    |          | 703,301     | (617,121)   |
| მოგების გადასახადი                    |          |             | -40         |
| წმინდა მოგება (ზარალი)                |          | 703,301     | (617,161)   |

დირექტორი

ირაკლი კილაურიძე



**სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2020 წლის 31 დეკემბერს  
დასრულებული წლისთვის.**

**1. ზოგადი ინფორმაცია**

„კოლიერს ინტერნეიშენალ ჯორჯია“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებული ასაქართველოში 2014 წლის 10 თებერვალს. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილიარის თბილისი. მისი ძირითადი საქმიანობაა უძრავ ქონებასთან დაკავშირებული სრული მომსახურების გაწევა უძრავი ქონების მესაკუთრეებისთვის, მოიჯარეებისთვის, დეველოპერებისა და ინვესტორებისთვის. შპს „კოლიერს ინტერნეიშენალ ჯორჯიას“ სრულ საკუთრებაში ამისი შვილობილი კომპანიები: შპს „კოლიერს ინტერნეიშენალ ჯორჯია - ველუეიშენ ენდ ედვაიზორი, შპს „კოლიერს ინტერნეიშენალ ჯორჯია - პროჯექტ ენდ ბილდინგ ქონსალტენს“-ი, ააიპ „უძრავი ქონების სკოლა რესქული“.

**2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. სამუშაო და წარდგენის ვალუტა არის ქართული ლარი. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

**3. საქმიანობის უწყვეტობა**

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

**4. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში.**

კომპანია ფლობს 100% წილს შვილობილ საწარმოებში, რომელთა აქციები საჯაროა და არ იყიდება. მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციები აღირიცხება დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციებიდან მიღებული დივიდენდები მაშინ აღიარდება, როდესაც ძალაში შევა ჯგუფის უფლება დივიდენდის მიღების შესახებ. იგი აისახება სხვა შემოსავლი სმუხლში.

**5. ამონაგების აღიარება.**

ამონაგები მომსახურების გაწევიდან აღიარდება მაშინ, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება, მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლას აწარმოში, შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

**6. ხარჯების აღიარება**

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

**7. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები**

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეული იქნა.

## 8. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯიარის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადისა და გადავადებული გადასახადის ჯამი. მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წლის დასაბეგრ მოგებას. ახალი, ე.წ. “ესტონური”, მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით.

## 9. ძირითადისაშუალეობები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით. ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი სასიცოცხლო პერიოდები:

- სამზარეულოს ინვენტარი 2 წელი
- კომპიუტერული ტექნიკა 3 წელი
- საოფისე ტექნიკა 3 წელი
- აი ტი ინფრასტრუქტურა 5 წელი
- მანქანა-დანადგარები 5 წელი
- საოფისე ავეჯი და სხვა საინვენტარო ერთეული 7 წელი
- მწვანე ნარგავები 10 წელი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად. ძირითადი საშუალების აღიარებისშეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა და ზარალში.

## 10. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შემენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება შემცირებადი ნაშთის მეთოდით, 15%-იანი წლიური განაკვეთით. თუ არსებობს რაიმე შანსი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

## 11. აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არმოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხადაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

## 12. იჯარა

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

## 13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

## 14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. კომპანია ვალდებულებას აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდება, როგორც გრძელვადიანი. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

## 15. ზანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

**შენიშვნა 3**  
**ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები**

|                              | 12/31/2020    | 12/31/2019     |
|------------------------------|---------------|----------------|
| ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში | 52,118        | 263,459        |
| ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში  |               |                |
| <b>სულ</b>                   | <b>52,118</b> | <b>263,459</b> |

**შენიშვნა 4**  
**სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

|                                       | 12/31/2020     | 12/31/2019     |
|---------------------------------------|----------------|----------------|
| სავაჭრო მოთხოვნები                    | 398,160        | 332,495        |
| მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ |                | 85             |
| გაცემული სესხები                      | 196,995        |                |
| <b>გადახდილი ავანსები</b>             | <b>10,185</b>  | <b>91,763</b>  |
| ავანსად გადახდილი საგარანტიო თანხები  |                | 1,500          |
| სხვა წინასწარ გაწეული ხარჯები         |                | 9,555          |
| <b>სულ</b>                            | <b>605,340</b> | <b>435,398</b> |

**შენიშვნა 5**  
**ძირითადი საშუალებები**

|                                   | მანქანა-<br>დანადგარები | ავეჯი და<br>სხვა<br>ინვენტარი | კომპიუტერული<br>ტექნიკა | ბანერი  | აიტი<br>ინფრასტრუქტურა | წიგნები | მწვანე<br>ნარგავები | სულ       |
|-----------------------------------|-------------------------|-------------------------------|-------------------------|---------|------------------------|---------|---------------------|-----------|
| <b>ბალანსი 31/12/2019</b>         | 17,576                  | 189,945                       | 216,141                 | 1198    | 48119                  | 747     | 2444                | 476,170   |
| დანამატები                        |                         | 175,303                       | 142,985                 |         | 48148.54               | 1452    | 2116.73             | 370,005   |
| აქტივების ჩამოწერა                |                         |                               |                         |         |                        |         |                     |           |
| გადაფასება                        |                         |                               |                         |         |                        |         |                     |           |
| <b>ბალანსი 31/12/2020</b>         | 17,576                  | 365,248                       | 359,126                 | 1,198   | 96,268                 | 2,199   | 4,561               | 846,175   |
| დაგროვილი ცვეთა და<br>გაუფასურება |                         |                               |                         |         |                        |         |                     |           |
| <b>ბალანსი 31/12/2019</b>         | (10,415)                | (77,066)                      | (128,731)               | (1,198) | (13,908)               | (103)   | (280)               | (231,701) |
| <b>ცვეთა პერიოდისთვის</b>         | (223)                   | (94,569)                      | (103,708)               |         | (23,572)               | (547)   | (897)               | (223,516) |
| ჩამოწერილი აქტივების<br>ცვეთა     |                         | 555                           |                         |         |                        |         |                     |           |
| გადაფასება                        |                         |                               |                         |         |                        |         |                     |           |
| <b>ბალანსი 31/12/2020</b>         | (10,638)                | (171,080)                     | (232,439)               | (1,198) | (37,480)               | (650)   | (1,177)             | (454,662) |
| <b>ბალანსი 31/12/2019</b>         | 7,161                   | 112,879                       | 87,410                  | -       | 34,211                 | 644     | 2,164               | 244,469   |
| <b>ბალანსი 31/12/2020</b>         | 6,938                   | 194,167                       | 126,687                 | -       | 58,788                 | 1,550   | 3,384               | 391,514   |

**შენიშვნა 6**  
**არამატერიალური აქტივები**

|                               | ვებსაიტი | პროგრამული<br>უზრუნველყოფა | სულ      |
|-------------------------------|----------|----------------------------|----------|
| <b>საწყისი ღირებულება</b>     |          |                            |          |
| <b>ბალანსი 31/12/2019</b>     | 76,253   | 5,102                      | 81,355   |
| დანამატები                    | -        |                            | -        |
| აქტივების ჩამოწერა            |          | -5102                      | (5,102)  |
| გადაფასება                    |          |                            | -        |
| <b>ბალანსი 31/12/2020</b>     | 76,253   | -                          | 76,253   |
| აკუმულირებული ცვეთა           |          |                            | -        |
| <b>ბალანსი 31/12/2019</b>     | (16,473) | (188)                      | (16,661) |
| ცვეთა პერიოდისთვის            | -9840.35 | -243.09                    | (10,083) |
| ჩამოწერილი აქტივების<br>ცვეთა | 18,459   | 188                        | 18,647   |
| გადაფასება                    |          |                            | -        |
| <b>ბალანსი 31/12/2020</b>     | (7,854)  | (243)                      | (8,097)  |
| <b>წმინდა ღირებულება</b>      |          |                            | -        |
| <b>ბალანსი 31/12/2019</b>     | 59,780   | 4,914                      | 64,694   |
| <b>ბალანსი 31/12/2020</b>     | 68,399   | (243)                      | 68,156   |

**შენიშვნა 7**  
**სავაჭრო და სხვა ვალდებულებები**

|                       | 12/31/2020     | 12/31/2019       |
|-----------------------|----------------|------------------|
| სავაჭრო ვალდებულებები | 101,176        | 387,338          |
| მიღებული ავანსები     | 298,415        | 681,489          |
| <b>სულ</b>            | <b>399,590</b> | <b>1,068,827</b> |

**შენიშვნა 8**  
**გრძელვადიანი ვალდებულებები**

|                            | 12/31/2020    | 12/31/2019 |
|----------------------------|---------------|------------|
| გრძელვადიანი ვალდებულებები | 37,052        |            |
| <b>სულ</b>                 | <b>37,052</b> |            |

**შენიშვნა 9**  
**საგადასახადო ვალდებულებები**

|                          | 12/31/2020    | 12/31/2019    |
|--------------------------|---------------|---------------|
| საშემოსავლო გადასახადები |               | 1,333         |
| დღგ                      | 44,985        | 6,303         |
| ქონების გადასახადი       |               | 436           |
| მოგების გადასახადი       |               | 3,474         |
| სხვა გადასახადი          |               | 1,012         |
| <b>სულ</b>               | <b>44,985</b> | <b>12,558</b> |

**შენიშვნა 10**  
**ამონაგები**

|                                 | 12/31/2020     | 12/31/2019       |
|---------------------------------|----------------|------------------|
| ქონების შეფასება და კონსალტინგი | 4426840        | 6,467,284        |
| <b>სულ</b>                      | <b>4426840</b> | <b>6,467,284</b> |

**შენიშვნა 11**

| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება | 12/31/2020       | 12/31/2019       |
|---------------------------------------|------------------|------------------|
| ცვლადი ხელფასი                        | 542,488          | 1,697,301        |
| ბონუსი                                | 501,852          | 595,024          |
| კონტრაქტორის მომსახურება              | 6,500            | 345,090          |
| სსიპ საჯარო რეესტრი                   | 6,612            |                  |
| ტრანსპორტირების ხარჯი                 | 560              |                  |
| მივლინების ხარჯი                      |                  | 47,721           |
| ინსპექტირების ხარჯი                   |                  | 831,885          |
| <b>სულ</b>                            | <b>1,058,012</b> | <b>3,517,021</b> |

**შენიშვნა 12**

| საოპერაციო ხარჯები   | 12/31/2020 | 12/31/2019 |
|----------------------|------------|------------|
| მიწოდების ხარჯები    | 55,509     |            |
| შრომის ანაზღაურება   | 2,059,211  | 2,040,279  |
| პარტნიორთა ჰონორარი  | 207,864    |            |
| ცვეთა და ამორტიზაცია | 36,975     | 114,140    |

|                                                         |                  |                  |
|---------------------------------------------------------|------------------|------------------|
| იჯარა                                                   | 80,115           | 417,671          |
| კომუნიკაციის ხარჯები                                    | 14,490           | 56,280           |
| კომუნალური ხარჯი                                        | 107,534          | 114,638          |
| წარმომადგენლობითი ხარჯი                                 | 2,707            | 29,028           |
| ლიცენზიისა და ბრენდის სახელის გამოყენების უფლების ხარჯი | 153,440          | 114,384          |
| საკონსულტაციო მომსახურება                               | 279,111          |                  |
| სხვა საერთო ხარჯი                                       | 420,194          | 555,109          |
| <b>სულ ხარჯი</b>                                        | <b>3,417,150</b> | <b>3,555,913</b> |

### შენიშვნა 13

| არასაოპერაციო შემოსავალი            | 12/31/2020     | 12/31/2019    |
|-------------------------------------|----------------|---------------|
| საპროცენტო შემოსავალი               | 8,794          |               |
| კურსთაშორისი სხვაობა                | 16,564         |               |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი       | 775,765        | 7,677         |
| შემოსავალი ლიცენზიის გაცემიდან      | 11,113         |               |
| <b>სულ არასაოპერაციო შემოსავალი</b> | <b>812,237</b> | <b>13,818</b> |

### შენიშვნა 14

| არასაოპერაციო ხარჯი  | 12/31/2020    | 12/31/2019    |
|----------------------|---------------|---------------|
| საპროცენტო ხარჯი     | 5,142         |               |
| კურსთაშორისი სხვაობა | 7,782         |               |
| <b>სხვა ხარჯი</b>    | <b>47,690</b> | <b>25,290</b> |
| <b>სულ</b>           | <b>60,614</b> | <b>25,290</b> |

|            |                |                |
|------------|----------------|----------------|
| <b>სულ</b> | <b>1263430</b> | <b>1504219</b> |
|------------|----------------|----------------|

კომპანია არის 100%-იანი წილის მფლობელი შვილობილი კომპანიის, შპს „კოლიერს ინტერნეიშენალ ჯორჯია“ - ველუეიშენ ენდ ედვაიზორი, რომლის აქციები საჯაროდ არ იყიდება. ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში განხორციელდა 2016 წლის 19 ოქტომბერს 1000 ლარის ოდენობით.

კომპანია არის 100%-იანი წილის მფლობელი ასევე შვილობილი კომპანიების: „შპს კოლიერს ინტერნეიშენალ ჯორჯია“ - პროექტ ენდ ბილდინგ ქონსალტენსი“ და „აიპ უძრავი ქონების სკოლა რესქული“.

### პირობითი ვალდებულებები

სს „კაუკაზუსენერჯიენდინფრასტრუქტურა“-ს წინააღმდეგ სასამართლო დავა მიმდინარეობს 2015 წლიდან (მოთხოვნილიასაბროკერომომსახურებისთანხა 61 950 აშშდოლარისოდენობითდავადაგადაცილებისპირგასამტეხლო 3407.25 აშშდოლარისოდენობით). პირველიინსტანციისგადაწყვეტილებით 2016 წელს სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა შპს „კოლიერს ინტერნეიშენალ ჯორჯიას“ მოთხოვნა აღსრულდა გადაწყვეტილება - მოთხოვნილი თანხა

მიღებულია. მეორე მხარემ საქმე გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში, რომელმაც არ გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. სააპელაციო გადაწყვეტილება მიღებულია 2017 წელს, თუმცა, ოფიციალურად მხარეებს არ ჩაბარებიათ. ამიტომ, ჯერ არ არის კანონიერ ძალაში შესული და მეორე მხარეს აქვს უზენაეს სასამართლოში გასაჩივრების უფლება. დავა მიმდინარეა,

შპს „სწავლების ცენტრის“ და შპს „აგრომეტის“ წინააღმდეგ სასამართლო დავა დაიწყო და დღემდე მიმდინარეობს. (მოთხოვნილი საბროკერო მომსახურების თანხა 61,081.40 აშშ დოლარის ოდენობით და 116,489 აშშ დოლარის ოდენობით).

ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული არ არის ანარიცხი, რადგან კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მოსალოდნელი არ არის ზარალის წარმოქმნა.

### ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია 2021 წლის 25 სექტემბერს

დირექტორი:

ირაკლი კილაურიძე

